სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №35

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ქ. ბათუმი თებერვალი 2023 წ.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ,,ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო“ (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის მამუკა შამილიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ეკონომიკა–აუდიტი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის მალხაზ ქარცივაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ „ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო“-სთვის შეფასებასთან დაკავშირებული მომსახურების, კერძოდ სააგენტოს საკუთრებაში არსებული და მის ბალანსზე რიცხული, მწყობრიდან გამოსული და შემდგომი ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარი ძირითადი საშუალებების ღირებულების დადგენისა და შეფასების მომსახურების შესყიდვა.
1.2. კლასიფიკატორის კოდი: CPV79400000, 79419000.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 400 (ოთხასი) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.
3.2.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს (სოციალურად დაუცველი ფენის ერთჯერადი კვების უზრუნველყოფის პროგრამა) მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე დოკუმენტის შედგენიდან, და მიმწოდებლის მიერ საქართველოს კანონდმებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან.
4.2.გაწეული მომსახურების (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
4.3. შემსყიდველის მხრიდან, გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარებას განახორციელებს ა(ა)იპ ,,ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო“-ს დირექტორი, მამუკა შამილიშვილი.

5. მომსახურების გაწევის ვადა

5.1. შესყიდვის ობიექტის მოწოდება და მომსახურების გაწევა შემსყიდველისათვის უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) მომსახურების გაწევის დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
6.3.მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) გაუწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით, ხელშეკრულების მე-5 მუხლის შესაბამისად;

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინპექტირებას განახორციელებს ა(ა)იპ ,,ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო“-ს დირექტორი, მამუკა შამილიშვილი.
7.2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოყენებული იქნება საჯარიმო სანქციები, კერძოდ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულებისათვის შემთხვევაში მიმწოდებელს დაერიცხება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.2 %-ის ოდენობით.

8.2.საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 %-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. ინტერესთა კონფლიქტი

12.1. ხელშეკრულების დადება არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნას და მხარეები არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში.

13.ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, გადაწყვეტილების მიღების შესახებ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს.

14. ხელშეკრულების ენა

14.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ელექტრონულად.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2023 წლის 01 ივნისის ჩათვლით.

16. მხარეთა რეკვიზიტები და მისამართები

„შემსყიდველი“:	„მიმწოდებელი“:
ა(ა)იპ „ქ. ბათუმის სოციალურის სერვისების სააგენტო“	შპს „ეკონომიკა-აუდიტი“
მის: ქ. ბათუმი, ლერმონტოვის 90ა	მის.:ბათუმი, იმედაშვილის ქ. 8
ს/კ: **445437705**	**ს/კ 245 425 883**
ხაზინის ერთიანი ანგარიში	სს „ლიბერთი ბანკი”
ბანკის კოდი - TRESGE22	ბანკის კოდი: LBRTGE22
შიდა ანგარიში ან ანგარიშის ნომერი- 740807519	ანგარიში: **GE 34 LB 0111 1599 5008 3001**
ხაზინის ერთიანი ანგარიში	
---	_____
დირექტორი	დირექტორი
მამუკა შამილიშვილი	მალხაზ ქარცივაძე